საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2085-03
05/08/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის წესით ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველ პირთათვის
განაცხადის შემოტანის, საბუთების მიღებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ივლისის N1982-03 ბრძანების მე-2, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათების ფაკულტეტის განათლების სადოქტორო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ სტუდენტებისთვის განცხადების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2020 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.
2. რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით. განცხადებას შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველმა პირმა თან უნდა მიაბას შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი 1);
ბ) აპლიკანტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო კვლევითი განაცხადი სადოქტორო პროგრამის მიხედვით (დანართი 2).

3. პროგრამაზე შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველი პირის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია. სადოქტორო კვლევითი პროექტის შეფასების მინიმალური ზღვარია 3 ქულა. სადოქტორო კვლევითი განაცხადი დარგობრივ კომისიას ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.
4. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.
5. კვლევითი განაცხადის შედეგები შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ეცნობებათ ინდივიდუალურად 2020 წლის 18 აგვისტოს, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
6. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 19 და 20 აგვისტოს (10:00-დან 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@iliauni.edu.ge
7. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით ეცნობებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, 2020 წლის 26 აგვისტოს, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

8. ზეპირი გამოცდა დარგობრივი კომისიის წინაშე ჩატარდება დისტანციურად, პროგრამა ზუმის გამოყენებით 2020 წლის 31 აგვისტოს, გამოცდაზე დასასწრები ბმული დაეგზავნებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
9. ზეპირი გამოცდა შეფასდება ხუთქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით. ზეპირი გამოცდის სამზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, კანდიდატი ეთიშება კონკურსს.
10. ზეპირი გამოცდის შედეგები შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ეცნობებათ ინდივიდუალურად 2020 წლის 1 სექტემბერს, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
11. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 2 სექტემბერს (10:00-დან 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@iliauni.edu.ge
12. განმეორებითი ზეპირი გამოცდა სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ჩატარდეს შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიის წინაშე 2020 წლის 3 სექტემბერს. გამოცდაზე დასასწრები ბმული დაეგზავნებათ შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირებს ინდივიდუალურად, სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
13. შიდა მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ პირთათვის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვროს კვლევის განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.
14. კვლევითი განაცხადისა და ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებების(აპელაციის შედეგების გათვალისწინებით) სარეიტინგო ქულების ჯამის მიხედვით, იმ პირებს ვინც მოიპოვებენ შიდა მობილობით გადასვლის უფლებას სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნებათ შეტყობინება 2020 წლის 4 სექტემბერს.
15. პირებს ვინც მოიპოვებენ შიდა მობილობით გადასვლის უფლებას შესაბამისი დასკვნების გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განესაზღვროთ 2020 წლის 7 სექტემბერი, დასკვნა გადაიგზავნება სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
15. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
16. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

დიმიტრი ჯაფარიძე

დეკანი